ლიტერატურათმცოდნეობა Литератураведение Literature

ნესტან სულავა

ქუთაისი, საქართველო

გენდერული დისბალანსი ვანის ქვაბთა მონასტრის პოეტ ქალთა ცხოვრება-მემკვიდრეობის მიხედვით

ვანის ქვაბთა მონასტერში, სადაც XV-XVI სს. დედათა მონასტერიც იყო, კედლებზე მონაზონ ქალებს თავიანთი ნაფიქრ-ნააზრევი ლექსების სახით წაუწერიათ, მცირე ნაწილი მათიგე შეთხზულია, მეტი წილი დამოუკიდებელი ლირიკული ნაწარმოებები ან ფოლკლორული ნიმუშები. წარწერები შეუსრულებიათ გულქანს, ანა რჩეულაშვილს, თუმიან გოჯიშვილს, შაღაბანი სულთანს და ხვარამზეს. გარეგნული სილამაზით გამორჩეულ პირადი ცხოვრების გამო გულდათუთქულ ქალებს ჰყავდათ მიჯნურები, რომელთაც დააშორეს ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო. სასოწარკვეთილნი მონასტრის კედლებს ანდობენ თავიანთ განცდებსა და სადარდელს, ღმერთს შესთხოვენ ცოდვათა შენდობასა და სულის ხსნას. მათი სახით წარმოჩნდებიან მგრძნობიარე, ცხოვრებით გაუხარელი პოეტური ბუნების მქონე ახალგაზრდა ქალები, რომლებიც თავიანთ განცდებს სიტყვას ანდობენ და ცდილობენ ფარული, მძაფრი გრძნობების კედლის წარწერებში შენახვას. ეს წარწერები წარმოდგენას გვიქმნიან XV-XVI ს-ში არსებულ გენდერულ უთანასწორობაზე.

ადამიანის უფლება-მოვალეობათა, პიროვნების ღირსების, თავისუფლებისა და აქტიეობის, ძალაუფლების, ოჯახის უფროსის, დროის განაწილების, გენდერული ასიმეტრიის პრობლემათა განსაზღვრა ეპოქათა მიხედვით ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად მიიჩნევა თანამედროვე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში. იგი განსხვავებული სიტყვიერი კულტურის ძეგლებში სხვადასხვა დონეზე ვლინდება. ამ თვალსაზრისით შუა საუკუნეების ლიტერატურულ-კულტურული ძეგლების განხილვას საინტერესო დასკვნებამდე მივყავართ. ვანის ქვაბთა მონასტრის ქალთა ცხოერებასა და პოეზიას განვიხილავთ გენდერული თვალსაზრისით.

ვანის ქვაბთა მონასტერი დაარსებიდან მოყოლებული მამათა მონასტერი იყო. ტაძრის კედლებზე შესრულებული წარწერები კი მოწმობს, რომ XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნის პირველ ნახევარში ვანის ქვაბებში ქალებიც იყვნენ. ეს იმას გვაფიქრებინებს,

რომ იქ ან დედათა მონასტერიც იყო, სადაც მონაზონი ქალები მოღვაწეობდნენ, ან რაღაც მიზეზების გამო იქ ქალებიც გახიზნეს//გადაიყვანეს. ამ პატარა ეკლესიის კედლებზე 40-მდე წარწერაა,მათგან ნაწილი პოეტურია,ნაწილი - ინფორმაციული ხასიათისა. მონაზონ ქალებს მონასტრის კედლებზე თავიანთი ნაფიქრ-ნაზრეები ლექსების სახით წაუწერიათ,მცირე ნაწილი მათიეე შეთხზულია,მეტი წილი დამოუკიდებელი ლირიკული ნაწარმოები ან ფოლკლორული ნიმუშია. წარწერები ეკუთვნით გულქანს, ანა რჩეულაშვილს, თუმიან გოჯიშვილს, შაღაბანი სულთანს და ხეარამზეს. წარწერები მოწმობს,რომ მონაზონი ქალები პირადი ცხოერების გამო გულდათუთქულნი არიან, მათ ჰყოედათ მიჯნურები, რომელთაც დაეშორეს ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო. სილამაზით გამორჩეულობას მათთეის ტანჯვის მეტი არაფერი მოუტანია. სასოწარკვეთილი ქალები მონასტრის კედლებს ანდობენ თავიანთ განცდებსა და სადარდელს, ღმერთს შესთხოვენ ცოდვათა შენდობასა და სულის ხსნას. ქალთა წარწერები საქართველოს ისტორიის უმძიმეს ხანაში, მტერთა შემოსეეებისა და თაედასხმების დროსაა შესრულებული, მაგრამ მათში ქვეყნის პოლიტიკურ-სოციალური ვითარება არ ირეკლება, ისინი მხოლოდ თავიანთი პირადული განცდებით აღსაესენი წერენ ამ სატრფიალო-სამიჯნურო ხასიათის ლექსებს, მეტწილად სხვისას ან ხალხურს, საიდანაც ჩანს, რომ ამქვეყნიურ სიამოვნებათა დათმობა უმძიმთ; მათში უფრო ძლიერია ამქვეყნიური ცხოერებისადმი სწრაფვა, ვიდრე სულიერი ცხოერებისადმი. ისინი უზივიან სოფლის წარმაელობასა და დაუნდობლობას, იგრძნობა გარეგნული სილამაზისა და სიყვარულის დაკარგვით გამოწვეული მძაფრი განცდები, გულისტკივილით აღნიშნაეენ, რომ გაუხარელი ცხოერება აქვთ და ხსნას ეერ ხედაეენ. მათი მძაფრი განცდების ამსახველი ყოველი სტრიქონი იმას მოწმობს, თუ როგორ შეიცვალა ადრეული შუასაუკუნეების შემდეგ ადამიანის ინტერესები და სულიერი ცხოერება, დამოკიდებულება ღმერთისადმი, რწმენისადმი, ცხოერებისადმი.

ვანის ქვაბთა მონასტერში შემონახული კედლებზე წარწერილი ლექსების ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები მეოცე საუკუნის 50-იან წლებში შეისწაელეს ე. ცისკარიშვილმა, კ. კეკელიძემ და შ. ონიანმა (ცისკარიშვილი,1954: 168-180; კეკელიძე,1959; ონიანი,1959-1: 187-293; ონიანი, 1959-2: 33-40; ონიანი, 1960: 33-42). უნდა აღინიშნოს, რომ ამ პოეტური მემკვიდრეობის კელეეა საინტერესო აღმოჩნდა გენდერული თვალსაზრისით,რადგან მონასტერში მყოფ ქალთა სულიერი მდგომარეობა მოწმობს ქალთა შეზღუდულ სოციალურ უფლებებს და წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელი საზოგადოების დამოკიდებულებაზე ქალებისადმი და მამაკაცების აღმატებულ უფლებებზე მიუთითებს.

თუმიან გოჯიშვილი საოცრად მგრძნობიარე,სევდიანი,რომანტიული პიროვნება ყოფილა,რაც წარმოჩნდება მისი წარწერების შინაარსით,რომელთა მიხედვით დგინდება მისი გამიჯნურება ვინმე გოდერძიზე, იგი მისთვის დაუშორებიათ და მონასტერში მიუყვანიათ. ამ ინფორმაციის მიღმა ტრაგიკული სიყვარულის ისტორია იკითხება, რაც, აგრეთვე, ქალთა სოციალურ სტატუსსაც წარმოაჩენს. მართლაც, წარწერებიდან ჩანს, რომ თუმიანი იძულებით, მისი ნების წინააღმდეგ აღუკვეცავთ მონაზვნად მიჯნურობის გამო (ონიანი, 1959-1: 38). აღენიშნაე, რომ ვანის ქვაბთა მონასტერში აღკვეცილი თუმიან გოჯიშეილი, სხვებიც, თავიანთი სურვილის წინააღმდეგ იმყოფებოდნენ მონასტერში,რაც მათთეის სატანჯველი ყოფილა. მათ კედლებზე წარწერილ ლექსებში გამოხატეს თავიანთი განცდები, დარდი, წუხილი, უკმაყოფილება იმ

სოციალური უთანასწორობით, რაც, ფაქტობრივად, გენდერული პრობლემაა; აქ წარწერილი ტექსტების მიხედვით, დასჯილია მხოლოდ ქალი, სასჯელი მამაკაცს არ ეხება. სიყვარული ერთნაირად იმორჩილებს ყველას, მაგრამ ქალს განსაკუთრებული თავშეკავება მოეთხოვება სიყვარულის გამჟღავნებისას. თუმიან გოჯიშვილი, განსახილველი საკითხის შესასწავლად არა აქვს მნიშვნელობა იმას, არის თუ არა იგი კედლებზე წარწერილი ლექსების ავტორი, მათში აქსოვს თავის უდიდეს განცდებს, სულიერ ტკივილს, რომელიც ასე ძლიერ იგრძნობა ამ სტრიქონებში. დავიმოწმებ ერთ მათგანს:

ქ. წვრილად ნახევწო ისარო, ქალაქს ნაღებო ინითა,
ყირმიზი რვალის პერანგი გაცვეია ოქროს ღილითა;
ნეტავი შენთან მამყოფა, შენთან გამაძღო ძილითა,
მაგ შავარდენსა თვალ-წარბსა მაკოცნა ბაგე-კბილითა (ონიანი, 1959: 39).

ტექსტის შინაარსი და ლექსიკა გვაფიქრებინებს, რომ ავტორი მიმართავს მამაკაცს, რომელიც მას უყვარს, „წვრილად ნახევწ ისარს" ამგვანებს, რომელსაც ოქროს ღილიანი „რვალის პერანგი" აცვია, ხოლო მისი თვალ-წარბი შევარდენთანაა შედარებული. ამათგან მამაკაცის გამოკვეთილ მეტაფორად ყველაზე მეტად „შავარდენსა თვალ-წარბსა" შეიძლება ჩაითვალოს. თუმიანს ეს ლექსი ისე გადაუკეთებია, რომ ლექსის ადრესატად უთუოდ მამაკაცი მიჩნეულიყო. ლექსს ხალხურ სიტყვიერებაში რამდენიმე ვარიანტი აქვს, რომლებიც საწინააღმდეგო მოსაზრების გამოთქმის საფუძველს იძლევა, კერძოდ, ლექსი ქალისადმია მიძღვნილი და არა მამაკაცისადმი, რაშიც გვარწმუნებს შემდეგი სიტყვები: „კაბანო ხავერდისანო, შვიდკან საყრელნო ღილითა!" (შანიძე, 1931: 128). ჩანს, რომ ლექსი თუმიანმა თავისი გრძნობების გამოსახატავად გადააკეთა. მას ლექსი კედელზე დიდმა გრძნობამ წააწერინა, ამიტომ ისეთი მეტაფორები და მხატვრული სახეებია შერჩეული, რომლებიც მამაკაცსაც მიესადაგება. ფაქტობრივად, თუმიანს ლექსი მამაკაცის ღირსებათა წარმოჩენისაკენ მიუმართავს, მასში ჩაუქსოვია ვაჟკაცის სიძლიერე და მომხიბვლელობა. ეს კი თუმიანის დამსახურებაა. აქვეა სხვა ლექს-წარწერებიც, რომლებიც მისი შემსრულებლის შინაგან განცდებს გამოხატავენ. ესაა ლექს-წარწერა „ლომო განაღამც მიყვარხარ":

ლომო განაღამც მიყვარხარ შენებრ ვერავის სადარად,
წყალად ევფრატად გიტყვიან, გულად - როსტომის სადარად;
ტანი აზატსა საროსა ნარნარად აყვავებულსა,
მე გული ჰელთა არა მყავს, თუ არ შენ გახლავს სადარად.

იქვე იკითხება წარწერაც: „ვაიმე იმედო, ნახვამდის, თუმიანსა დამიწერია". ლექსი მოწმობს, რომ მისი ავტორი მხატვრული აზროვნებით გამორჩეული პოეტია. ტექსტში ლომის მეტაფორით წარმოდგენილი პიროვნება გარეგნული სილამაზით გამორჩეული უნდა ყოფილიყო, მისი ტანი საროსთან, თვითონ კი ევფრატის წყალთანაა შედარებული, რაც გავრცელებული მეტაფორაა საერო ლიტერატურაში. აქვე იხსენიება „როსტომიანის" პერსონაჟი როსტომი, რომელსაც ავტორი ადარებს თავის მიჯნურს; ჩანს, რომ ქალის სიყვარული ტრაგიკულად წარმართულა. ყოველივე ეს მოწმობს, რომ თუმიან გოჯიშვილი თავისი სურვილის წინააღმდეგ იმყოფებოდა მონასტერში, რაც მას ტანჯავდა.

ერთი ორტაეპიანი ლექს-წარწერა იშვიათი პოეტურობითა და სახე-ხატებით გამოირჩევა,

მიჯნურის სულიერ მდგომარეობას, მიჯნურის მშვენიერებას მიანიშნებს:

ქ. მზეო, გიშ(ე)ენის ფალკოტი ხილითა და ხევნარითა,
უწყლოდა მოკლაე მიჯნურსა და გულსა დახეე ნარითა (ონიანი, 1959: 33).

მონაზონი გულქანი, რომლის სახელითაც ორი ლექსია ცნობილი, ე. ციხკარიშვილისა და შ. ონიანის დაკვირვებით, გვარად შალიკაშვილი უნდა ყოფილიყო და უნდა ეცხოვრა XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე. შ. ონიანის შეხედულებით, გულქანი და ანა რჩეულაშვილი თანამედროვენი იყვნენ და ერთმანეთს იცნობდნენ,რადგან გულქანი ანა რჩეულაშვილის მიერ შესრულებულ წარწერაში იხსენიება: „გულქანსა უშუალე ცოდვილსა. შენ იკსენ მისი სული ყოველად წმიდაო დედოფალო". გულქანის წარწერის მიხედვით,მონასტერში მყოფი ქალი ჯერ არ იყო გათხოვილი,მანუჩარს წაუყვანია „ქალად და გასათხოვარად". ფიქრობენ,რომ მანუჩარი გულქანის დედის, ქეთევნის ბიძა ყოფილა. თუ ეს ასეა,მაშინ მანუჩარის სრუნვა გულქანზე გასაგებია. ქეთევნის შვილები მესხეთის თავადიშვილთა საგვარეულოებს შორის მოიხსენიებიან, ისინი შალიკაშვილები ყოფილან. წარწერაში გულქანი მიმართავს ღმერთს, ღვთისმშობელს, წმინდანებს, მთავარანგელოზებს. იგი იმასაც მოწმობს, რომ გულქანი გარეგნულად ძალიან ლამაზი იყო,რაც ეამაყება კიდეც. გულქანის მიერ კედელზე შესრულებულ მეორე წარწერაში აეტორი ღვთისმშობელს ვედრებით მიმართავს,შესთხოვს ბოროტ ძალთაგან,მტანჯველთაგან გათავისუფლებას.

ქ. ღმრთის მშობელო, შენ ცოდეილთა მეოხი ხარ უშურველი,
შენ აღჭოცე ცოდვა ჩემი უმრავლესი, უთვალველი,
მე სამოელ ტანჯვად მაწევს უშიში და უკრძალველი,
მწყო ჩემო, შენ მიშველე, გამოჭსნასა შენგან ველი.
მრავალ-თვალნი ანგელოზნი შენგან ძრწიან ძალნი, დასნი,
ჯოჯოხეთით მოციქულნი გამოვიდეს ბევრ-ათასნი (ონიანი, 1959: 36).

ლექსი არასრულადაა წარწერილი,არც ისაა ცნობილი,გულქანი ამ ლექსის ავტორი არის თუ არა,მაგრამ იგი ყურადღებას იქცევს სახეობრივი თვალსაზრისით,მასში სამი უარყოფითი ძალაა ადამიანის, კერძოდ, თვით ავტორის მტანჯველად დასახელებული: სამოელ, მრავალთვალიანი ანგელოზი, ანუ დაცემული ანგელოზი, და ჯოჯოხეთის ბევრ-ათასნი მოციქულნი. ბოროტ ძალთა დასახელება მიუთითებს,რომ გულქანი ქალის სოციალურ მდგომარეობას,გენდერულ უთანასწორობას შეეწირა.

ახალგაზრდა ლამაზი ქალის,ანა რჩეულაშვილის,წარწერებიც ნათლად მოწმობს,რომ ისიც იძულებით გადაუყვანიათ ეანის ქალაბთა მონასტერში,რის გამოც ხშირად უჩივის თავის უიმედო, მძიმე სულიერ მდგომარეობას. მისი მონასტერში გადაყვანის მიზეზი გაურკვეველია; პირდაპირ არც ის ჩანს, რა სტატუსით იმყოფებოდა იგი მონასტერში. მის წარწერებზე დაკვირვებით მხოლოდ ის შეიძლება ითქვას,რომ მას ჰყოლია და,ძმა,რძალი,რომლებიც ძლიერ ჰყვარებია, მათთან განშორება მას ძალიან გასჭირვებია. მონასტრის პირობები მისთვის მძიმე ყოფილა, რასაც წუხილით აღნიშნავს კიდეც: „რა ექნა, მე შავსა არა მაქვს საქმე კეთილად ქმნილ. შევსარებიეარ სიკედილსა შემაძრწუნებელსა" (ციხკარიშვილი, 1954: 175; ონიანი, 1959-2: 35). ანას წარწერები ძირითადად უძლიერეს პირადულ განცდათა შედეგად შეუსრულებია. ერთი

მათგანი საკუთარი სავალალო ხეედრის გამო გოდებაა, ქალს მხსნელად ღვთისმშობელი ეგულება: „ანასა უშუელე ცოდვილსა. შენ იჴსენ მისი სული ყუელაწმიდაო დედოფალო, მიშუელე შენისა ძისა სიყუარულსა" (ცისკარიშვილი, 1954: 175). მეორე წარწერაც გოდებაა: „ქ. უხწნელო ღმრთობისა ხატო შემიბრალე... სულ საუკუნოსა დამდეგა ოცი ოთხშაფათი, პარასკეი მარხვა შემომიწირაეს... შეიწირე ღმრთობისა ხატო, თუ რამე მეშუელებისა რაცა შემიწირაეს ისრე გაუთავებ ამა მარხვას გარეთა" (ცისკარიშვილი, 1954: 176). ჩანს, რომ ანა მორწმუნე ყოფილა და ლიტურგიულ წესებს იცავდა. იგი იმედოვნებდა, რომ მარხვისა და სხვა ლიტურგიული წესების აღსრულების შედეგად, იქნებ, საშველი დასდგომოდა.

ვანის ქვაბთა მონასტრის კედელზე ანა რჩეულაშვილის ხელით წარწერილია ქაჯეთის ციხიდან ნესტან-დარეჯანის მიერ მიჯნურისათვის მიწერილი წერილის ორი სტროფი, რაც წარწერის შემსრულებლის სულიერ მდგომარეობას რუსთველის პოემის პერსონაჟის სიტყვებით გვამცნობს. წარწერის შემსრულებელს იგი ისე დაუწერია, როგორც ახსოვდა. ქალი, რომელიც იძულებით ჩანს შემონაზენებული, შვებას „ევეფხისტყაოსანში" პოვებს და მისით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ცხოვრებისეული მოვლენებისადმი. იგი საკუთარი თავის გამოვლენას „ევეფხისტყაოსნით" ცდილობს, საკუთარ ფიქრთა და განცდათა საუკეთესო გამომხატველად რუსთველის პოემას მიიჩნევს, რითაც ქალის სოციალური სტატუსის შესახებ თავისი ეპოქის სულისკვეთებასაც გვამცნობს.

ანა რჩეულაშვილის მიერ კედელზე წარწერილი მაცხოვრის ხატისადმი მიძღვნილი საგალობელიც „ვაი გარჯილო ამა სოფელსა" წარწერის შემსრულებლის გოდებაა, ასახავს ავტორის მძიმე სულიერ მდგომარეობას, რადგან მონასტერი მისთვის სასჯელი ყოფილა და წუთისოფლით ვერ გაუხარია. იგი გულისტკივილით ჩივის თავის ცხოვრებაზე, იმაზე, რომ დამტირებელი არავინ ყოლია, ღმერთსა და წამკითხველს შესთხოვს მიტევებასა და შენდობას, წამკითხველსაც ღვთისაგან შენდობას უსურვებს.

მონასტერში ახალგაზრდა ქალის გადაყვანის მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო პირად ცხოვრებაში მომხდარი ტრაგედია, რადგან მონასტერში იძულებით მყოფი ქალი, მიუხედავად გვაროვნული ჩამომაელობისა, მძაფრად განიცდის ქალის სოციალურ დაუცველობას, შეზღუდულობას. მართალია, ეს არაა აღნიშნული მის მიერ წარწერილ ლექსებში, მაგრამ მათი შინაარსობრივი განხილვა გვარწმუნებს, რომ ქალის სოციალური სტატუსი საკმაოდ დამცრობილია; ის, რაც მამაკაცს ეპატიება და რის გამოც მამაკაცი არ ისჯება, ქალს არ ეპატიება და ისჯება. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერები დაგვაფიქრებენ და წარმოდგენას გვიქმნიან XV-XVI ს-ში არსებულ გენდერულ უთანასწორობაზე. წარწერებში ანა რჩეულაშვილის სახით წარმოჩნდა მგრძნობიარე, ცხოვრებით გაუხარელი პოეტური ბუნების მქონე ახალგაზრდა ქალი, რომელიც თავის განცდებს სიტყვას ანდობს და ცდილობს თავისი ფარული, მძაფრი გრძნობების კედლის წარწერებში შენახვას.

წარწერათა ერთ-ერთი ავტორი, შაღაბანი სულთანიც, იძულებით შემონაზვნებული ყოფილა. მისი ცუდად წასაკითხი წარწერა წარმოაჩენს წარწერის შემსრულებლის აღტაცებას მიჯნურით, რაც, აგრეთვე, მოწმობს მისი განცალკევების მიზეზს, როგორც ჩანს, ისიც უიღბლო სიყვარულის გამო მიუყვანიათ მონასტერში.

ვანის ქვაბთა მონასტრის კედელზე გეხვდება ხეარამზეს შეუსრულებული ერთი წარწერა,

რომელიც ლექსი არაა, მაგრამ შინაარსობრივადაა საყურადღებო. ჩანს, რომ ხვარამზე და ვინმე გოსალა ერთმანეთისათვის დაუშორებიათ, ხვარამზე იძულებით აღუკვეცავთ მონაზვნად. ყოველივე ამას ტრაგიკული განცდები აღუძრა ქალს. ისიც იმავე ეპოქის მცხოვრები ჩანს, რომელშიც ცხოერობდნენ თუმიან გოჯიშვილი, ანა რჩეულაშვილი, გულქან შალიკაშვილი და შაღაბანი სულთანი. ხვარამზეს წარწერა მხოლოდ ინფორმაციულია: „ვინც შეგვიბრალებთ მე და ბატონს გოსალას ჩემისა და იმის გამერელობასა, ესეც უნდოდა, ეაიმე თუ ერთმანეთისა სიკვდილის და სულთამოსელის დროს არა დავხუდეთ... შეგვიბრალეთ, ღმერთმა გამიგონოს, რომე როდისცა მე და გაცლადა... ბევრი ვიტირეთ ესრე ჩვენ. თქვენ ჩვენ შეგვიბრალეთ... გულთაგან დამდნარსა" (ცისკარიშვილი, 1954: 178-179). წარწერა მოწმობს მისი შემსრულებლის ტრაგიკულ ხვედრს, რასაც ძლიერ განიცდის ქალი. მას სიკვდილის მოლოდინიც აფრთხობს.

ვანის ქვაბთა მონასტრის მონაზონი ქალები სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები, თუმცა, ერთი ეპოქაში მცხოერებნი უნდა ყოფილიყვნენ. მათ მიერ ვანის ქვაბთა მონასტრის კედლებზე შესრულებული წარწერებით შესაძლებლობა გვეძლევა მთელი საუკუნის - XV საუკუნის II ნახევრისა და XVI საუკუნის I ნახევრის მანძილზე გავადევნოთ თვალი ქართული ლიტერატურის განვითარებას და დაეაკვირდეთ ქართული ფოლკლორის იმ დროისათვის წერილობით დადასტურებულ ნიმუშებს. ამავე დროს, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერები წარმოდგენას გვიქმნიან XV-XVI საუკუნეებში არსებულ გენდერულ უთანასწორობაზე.

ლიტერატურა:

კ. კეკელიძე, კედლებზე შერჩენილი სიცოცხლე, გაზ. „კომუნისტი", 1959, 24.II. #45 (11351).

შ. ონიანი, „ეეფხისტყაოსნის" ორი სტროფი ვანის ქვაბთა მონასტრის ერთ წარწერაში, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი აკად. კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბ., 1959.

შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, ჟ.: „საბჭოთა ხელოვნება", 1959, #7.

შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, ჟ.: „საბჭოთა ხელოვნება", 1960, # 8.

ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხელსურული, ტფ., 1931.

ე. ცისკარიშვილი, წარწერები ასპინძის რაიონიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკე. 30, თბ., 1954.

Нестан Сулава

Жизнь и деятельность поэтов-женщин из монастыря Вани по перспективам гендерного равенства

Резюме

В монастыре Вани, в котором в XV-XVII веках существовал женский монастырь, в стенах изображены рифмы, некоторые из них написаны ими, большинство из них являются независимыми или народными материалами. Писания сделаны Гульканом, Ана Рчеулашвили, Тумяном Годжишвили, Шагабани Султаном и Хварамзе. Будучи красивыми физически, но волнуясь из-за личной жизни, у них были любовники, из них они были разделены по неизвестным причинам. Будучи разочарованными, они доверяют стенам монастыря, молясь спросить у Бога мир и исповедь. Они полны эмоций, недовольных своими пожилыми поэта молодыми женщинами, которые испытывают свои чувства к словам и пытаются сохранить тайные жесткие чувства на стенах монастыря. Эти сочинения дают ощущение общего неравенства XV-XVI вв.

Nestan Sulava

The Life and Activities of Poet Women from Vani Monastery by Perspective of Gender

Abstract

In the monastery of Vani, in which in XV-XVII centuries there was female monastery, there is depicted rhymes in the walls, some of them are written by them, most of them are independent or folk materials. The writings are done by Gulqan, Ana Rcheulashvili, Tumian Gojishvili, Shagabani Sultan and Khvaramze. Being beautiful physically but worried because of personal life they had lovers, from them they were separated by for us unknown reasons. Being disappointed they trust to the walls of monastery, praying to ask from the god peace and confession. They are full of emotion, unhappy with their life poet young women, which are given their feelings to the words and trying to keep the secret hard feelings on the walls of monastery. These writings giving the sense of general inequality of XV-XVI centuries.

რეცენზენტი: პროფესორი ნაზი ხელაია